ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №28

29 სექტემბერი 2022 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილ;ი ნინო წულაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე;ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
საკრ.№15-0322269215-03; 11-01222692033 26.09.2022წ;
საკრ.№15-0322270153-03; 11-01222703099 27.09.2022ნ

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია ნაძალადევის, ისნის და სამგორის რაიონის გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.

გამგეობების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით, სხვადასხვა მიზეზების გამო ფერხდება ინფრასტრუქტურული სამუშაობის დაგეგმილ ვადებში შესრულება და ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ ქვეპროგრამებში მესამე კვარტლიდან თანხის მეოთხე კვარტალში გადატანას.

„კეთილმწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში" (პროგ.კოდი 02 09 11) – 100 000 ლარი

„კეთილმწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში" (პროგ.კოდი 02 09 16)- 700 000 ლარი.

„გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში" (პროგ.კოდი 01 01 15)- 450 000 ლარი.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში" (პროგ.კოდი 02 09 17) -353 400 ლარი.

მესამე კვარტლის გეგმის გაზრდას ითხოვს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო (პროგ.კოდი 10 01) 260 000 ლარით. ასევე იზრდება მესამე კვარტლის გეგმა 30 000 ლარით სახელფასო დანამატებისთვის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (პროგ.კოდი 10 18) მოთხოვნით. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, კომპანიებთან შეთანხმებულია „მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის" და „ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის" სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა 2022- 2023 წლებში. მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო 1 400

000 ლარის დახარჯვა. კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიხედვით დაიხარჯება 1 100 000 ლარი და სავარაუდო ეკონომია პროგრამაში „ მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (პროგ.კოდი 08 03 12) იქნება 450 000 ლარი. ამავე დროს პოსტპანდემიური პერიოდი საკმაოდ აქტიურია კულტურის სფეროს მიმართულებით. კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში შემოსულია პროექტების და განცხადებების დიდი რაოდენობა, მაგრამ „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის „ პროგრამაში (პროგ.კოდი 08 05) რესურსი ამოიწურა. აქედან გამომდინარე პროგრამიდან მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (პროგ.კოდი 08 03 12) 450 000 ლარი გადადის პროგრამაში „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა „ (პროგ.კოდი 08 05). ამავე სამსახურის წერილობითი მოთხოვნით პროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ (პროგ.კოდი 08 06 01) მესამე კვარტალის გეგმას ემატება 165 000 ლარი, მეოთხე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით. ყველა ცვლილების დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6 ანა წულაძემ თავი შეიკავა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, რაიონული გამგეობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე